

# ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

2019 წ.

## თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ახალციხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად გეგმას. მასში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

პრიორიტეტები გულისხმობს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სწორად განსაზღვრული, მუნიციპალიტეტის მოსახლეობების საჭიროებებზე მორგებული მიზნების დასახვას, მათ მისაღწევად კი საჭირო პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამოყალიბებას და დაგეგმვა-განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მის გამართულ ფუნქციონირებას, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, კულტურის, დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ახალციხის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათება, სანიაღვრე მეურნეობის, კანალიზაციის, ნაგავსაყრელის მოწყობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა შესრულებისთვის საჭირო მუნიციპალური შესყიდვის განხორციელება, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, ქალაქის დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრა და პარკირების წესების დადგენა;
2. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;
3. მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული წყალმომარაგება-წყალანირების სისტემის მოვლა-შენახვა;
4. თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება, შესაბამისი პროგრამების დამტკიცება, პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზება;
5. სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
6. ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.

ახალციხის მუნიციპალიტეტი ეკუთვნის სამცხე-ჯავახეთის რეგიონს. იგი მოიცავს ორ ქალაქს - ქალაქი ახალციხე (რეგიონალური ცენტრი) და ქალაქი ვალე. მასში შედის 15 ტერიტორიული ერთეული: ვალე, აწყური, აგარა, კლდე, მინაძე, ფერსა, ურაველი, ანდრიაწმინდა, ელიაწმინდა, სვირი, სხვილისი, წყრუთი, წყალთბილა, პამაჯი, საძელი, სადაც გაერთიანებულია 45 სოფელი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 2850.3 კვადრატულ კილომეტრს, რაც მთელი ქვეყნის ფართობის 4.9% და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ფართობის 44%-ია. მუნიციპალიტეტში 566 500 გრძივი მეტრი მუნიციპალური დაქვემდებარების საავტომობილო გზაა, ხოლო შიდა სასოფლო გზები დაახლოებით 73000 გრძივი მეტრია.

ახალციხის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 1.06%, ხოლო რეგიონის მოსახლეობის დაახლოებით 25%, 39 375 ადამიანი. მუნიციპალიტეტში მოსახლეობა მრავალეროვანია, მისი 68% ქართველი და 31% სომეხია, დანარჩენი ბერძნები, ოსები, რუსები, პოლონელები და სხვა ეროვნების ადგილობრივი მაცხოვრებლები არიან. მოსახლეობის სიმჭიდროვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეადგენს 38.9 კაცს ერთ კვ. კმ-ზე.

მუნიციპალიტეტის მცხოვრებთაგან 7277 ადამიანი ასაკის პენსიონერია; ინვალიდობის პენსიონერია 1079 ადამიანი; 186 მოქალაქე ბავშვობიდან ინვალიდია; მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების შესაბამისად მუნიციპალიტეტში 7577 ბავშვია 0-დან 14 წლის ჩათვლით. მოსახლეობის 46% ცხოვრობს ქალაქ ახალციხეში. სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თვითდასაქმებულია. ახალციხის მუნიციპალიტეტში 569 ოჯახი სოციალურად შეჭირვებულია, რაც მთლიანი მოსახლეობის 9.1%-ია. სოციალურად შეჭირვებულთაგან 195 ადამიანი სარეგებლობს სოციალური დახმარებით და ა(ა)იპ „სათნოების სახლში“ უფასო სასადილოს ერთჯერადი კვების მომსახურებით.

მუნიციპალიტეტი მოიცავს მაღალმთიან ერთ ქალაქს და 29 სოფელს, სადაც ცხოვრობს 13 338 ადამიანი - მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 34,3%.

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 151-ე და 152-ე მუხლების საფუძველზე 2014 წლის ივლისში მოხდა ახალციხის მუნიციპალიტეტის ლიკვიდაცია, 2014 წლის ივლისში მუნიციპალიტეტი გაიყო ორ ნაწილად და ჩამოყალიბდა თვითმმართველ ქალაქად და თვითმმართველ თემად, ხოლო საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის N987-II დადგენილებისა და საქართველოს ორგანულ კანონში - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად მოხდა ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთიან მუნიციპალიტეტად ჩამოყალიბება და მისი ბიუჯეტი 2018 წელს განისაზღვრა 25.7 მლნ. ლარით.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. განვითარებულია ტურიზმი, სოფლის მეურნეობა. ტურიზმის მზარდი განვითარების გამო ქალაქსა და რიგ სოფლებში განვითარებულია მცირე, ოჯახური სასტუმროების ბიზნესი.

## თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### 2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი

#### 2017 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ერთიანი ბიუჯეტის შემოსულობები (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება,) განისაზღვრა 19411,4 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 19 800,3 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 102%-ით, მათ შორის:

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 19584.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (19333.4 ათასი ლარი) 101.3% და მთლიანი - შემოსულობების 98.9%-ს შეადგენს. მათ შორის:

გადასახადების სახით მობილიზებულია 7852,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (7980,0 ათასი ლარი) 98,4 %-ია. საანგარიშო პერიოდში საშემოსავლო გადასახადიდან ბიუჯეტში ფაქტიურად მიღებულია 1810.0 ათასი ლარი.

ქონების გადასახადიდან მიღებულია 6042,1 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 5629,8 ათასი ლარი, მიწის გადასახადი - 356,5 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი -38,2 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადი-17,6 ათასი ლარი.

გრანტების სახით მიღებულია 10045,4 ათასი ლარი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 4531,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 277.0 (ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამალღების ხელშეწყობა 99,0 ათასი ლარი,სამშობლოს დაცვისას და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ხარჯი 10,0 ათასი ლარი, გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის - 168,0 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი სახსრები (სპეციალური დანიშნულების გრანტები) 5237,4 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 1730,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის - 1308.0 ათასი ლარის 132,3%-ია.

ათასი ლარი

დასახელება	2017 წელი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	19333,4	19584,2	250,8	101,3
გადასახადები	7980,0	7852,1	-127,9	98,4

გრანტები	10045,4	10002,1	-43,3	99,6
სხვა შემოსავლები	1308,0	1730,0	422,0	132,3

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2017 წელს მობილიზებული იქნა 216,0 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (78.0 ათასი ლარის) 276,9%-ია. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 20,8 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 195,3 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 10,9%-ს შეადგენს. როგორც ცნობილია 2017 წლის ნოემბერში ახალციხის მუნიციპალიტეტი შეიქმნა ქალაქის და თემის მუნიციპალიტეტების გაერთიანებით. ამიტომ, 2017 წელი დასრულდა ორი დამოუკიდებელი ბიუჯეტით. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია 2017 წლის დასაწყისისთვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების მთლიანობაში ჩვენება.

**ცხრილი 2.1** ახალციხის მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები

(2017 წლის ფაქტი, 2018 წლის გეგმა და 2019-2022 წლების საპროგნოზო მაჩვენებლები, ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით)

თანხა ათს ლარებში

#	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
I	შემოსავლები	19 584,7	21763,0	15 900.0	16 400.0	17 000.0	17 600.0
1.1	გადასახადები	7 852,1	6 950,0	14 038.8	14 500.0	15 000.0	15 500.0
1.3	გრანტები	10 002,1	13364,0	270.0	280.0	290.0	300.0
1.4	სხვა შემოსავლები	1 730,0	1 449,0	1 481.2	1 620.0	1 710.0	1 800.0
II	ხარჯები	10 431,8	11 227,9	11 479.4	11 900.0	12 300.0	12 700.0
2.1	შრომის ანაზღაურება	2093,1	1 926,4	2 379.1	2460.0	2 550.0	2 600.0

#	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
2.2	საქონელი და მომსახურება	3136,4	3342,7	3 308.1	3 420.0	3 550.0	3 700.0
2.4	პროცენტი	0,9	114,1	65.5	60.0	53.0	45.4
2.5	სუბსიდიები	3309,9	4069,8	4 405.8	4 600.0	4 650.0	4 800.6
2.6	გრანტები	125,0	110,0	155.0	160.0	165.0	170.0
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	596,1	714,8	768.9	800.0	866.0	900.0
2.8	სხვა ხარჯები	1170,4	950,1	397.0	400.0	466.0	484.0
<b>III</b>	<b>საოპერაციო საღდო</b>	<b>9152,9</b>	<b>3266.2</b>	<b>4 310.6</b>	<b>4 460.0</b>	<b>4 600.0</b>	<b>4 800.0</b>
<b>IV</b>	<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>1 1054,1</b>	<b>5 992.6</b>	<b>4 310.6</b>	<b>4 460.0</b>	<b>4 600.0</b>	<b>4 800.0</b>
	ზრდაDA	11270.2	6 062.6	4 420.6	4 500.0	4 700.0	4 900.0
	კლება	216,1	70,00	110.0	114.0	120.0	125.0
<b>V</b>	<b>მთლიანი საღდო</b>	<b>-1 901,2</b>	<b>-2726.5</b>				
<b>VI</b>	<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-1 980,4</b>	<b>-2726.5</b>				
	ზრდაDA		0				
	კლება	1 980,4	2726.5				
<b>VII</b>	<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-79,2</b>	<b>0</b>				
	ზრდა		0				
	კლება	79,2	0				
<b>VIII</b>	<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0</b>				

## 2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

2017 წელს **გადასახდელების** საკასო შესრულების მაღალი - 86.1%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ეს ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- ❖ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 3207,0 ათასი ლარი;
- ❖ თავდაცვა - 89,8 ათასი ლარი;
- ❖ ეკონომიკური საქმიანობა – 9287,80 ათასი ლარი;
- ❖ გარემოს დაცვა – 949,4 ათასი ლარი;
- ❖ საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 3037,6 ათასი ლარი;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა – 148,7 ათასი ლარი;
- ❖ დაცვენება, კულტურა და რელიგია – 1615,5 ათასი ლარი;
- ❖ განათლება – 2673,7 ათასი ლარი;
- ❖ სოციალური დაცვა – 758,9 ათასი ლარი.

2017 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 21768,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (25284,8 ათასი ლარი) 86,1%-ია. მათ შორის:

**01 00** წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანო - 3207,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (3504,8 ათასი ლარი) 91,5 %-ია.

02 00 თავდაცვა - 89,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (99.0 ათასი ლარი) 90,7 %-ია.

03 01 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - 8072,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (9200,8 ათასი ლარი) 87,7%-ია;

**03 02** კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 4128,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (4968,4 ათასი ლარი) 83,1 %-ია.

03 03 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯი - 1048,8 ათასი ლარი რაც გეგმის (1709,8 ათასი ლარი) 61,3 %-ია.

03 04 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 24,8 ათასი ლარი რაც გეგმის (38,1 ათასი ლარი) 65,1 %-ია.

04 01 სკოლამდელი აღზრდა - 2666,7 ათასი ლარი რაც გეგმის (2990,1 ათასი ლარი) 88,2 %-ია.

04 02 სტიპენდიები წარჩინებულ მოსწავლეებსა და სტუდენტებს 7,0 ათასი ლარი რაც გეგმის (10,0 ათასი ლარი) 70 %-ია.

05 01 კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 1232,8 ათასი ლარი რაც გეგმის (1307,9 ათასი ლარი) 92,0 %-ია.

05 02 საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 61,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (106,3 ათასი ლარი) 57,4 %-ია.

05 03 კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა 80,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (130,0 ათასი ლარი) 61,5 %-ია.

05 04 სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 241,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (241,7 ათასი ლარი) 100 %-ია.

06 01 საზოგადოებრივი ჯანდაცვა - 148,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (170,0 ათასი ლარი) 87,5 %-ია.

06 02 სოციალური პროგრამები - 758,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (807,9 ათასი ლარი) 93,9 %-ია.

### **ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის პრიორიტეტების ფარგლებში**

მუნიციპალიტეტის ცხრა სოფელში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 16,8 კმ. გზის საფარს: რვა სოფელში მოწესრიგდა სასმელი წყლის სისტემა; აღდგა ქვემო სხვილისის ხიდი; ოთხ სოფელში გაიხსნა სოფლის სახლი; მოეწყო პარკები და სპორტული მოედნები; ტრანსპორტის მოსაცდელი ადგილები; ქალაქ ვალეში გარემონტდა კულტურის სახლი, სტიქიის ზონის ფარგლებში მდებარე სოფლებში მოეწყო ნაპირსამაგრი კედლები. დიდთოვლობის შედეგად დაზარალებულ 14 ოჯახს გადაეცა 16999,00 ლარის ღირებულების თუნუქის ღარიანი ფურცლები სახურავის შესაკეთებლად, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს გადაეცა 73 624,00 ლარის ღირებულების თუნუქის ღარიანი ფურცლები სახურავის შესაკეთებლად.

ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის მიზნით ხშირად ტარდება სპორტული შეჯიბრებები მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში: ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ძიუდოსა და ტაეკვანდოში.

2017 წელს თბილისში ჩატარებულ სპორტულ შეჯიბრებებში ტაეკვონდოში, საქართველოს ღია ჩემპიონატში მონაწილეობისას, ჩვენი მუნიციპალიტეტის ოთხმა ახალგაზრდამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი, ხოლო 2018 წელს ჩატარებულ სპორტულ შეჯიბრებებში გოგონათა შორის საქართველოს ღია ჩემპიონატში დაიკავეს ერთი მეორე ადგილი და სამი მესამე ადგილი სხვადასხვა წონით კატეგორიებში. მუნიციპალიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია სოციალური მიმართულება, რომლის ერთ-ერთ ქვეპროგრამას წარმოადგენს ჯანდაცვა.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს გეგმიური/ურგენტული ქირურგიული მომსახურებებისა და სტაციონარული/ამბულატორიული მკურნალობის პროგრამები. მოსახლეობის მოთხოვნილებების შესაბამისად 2017 წელს, მოქმედ პროგრამებს დაემატა და



გაფართოვდა ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტთა სპეციალური პაკეტი, შშმ ვეტერანთა მედიკამენტოზური მკურნალობის პაკეტი.

2017 წლიდან გაიზარდა დაავადების დადგენისა და პრევენციისათვის საჭირო პაკეტის მოცულობა, რის საშუალებითაც 200-მა ბენეფიციარმა შეძლო ესარგებლა ლაბორატორიული და მაღალტექნოლოგიური კვლევებით, მათ შორის ისარგებლა 120-მა სოციალურად დაუცველმა და 8 შშმ ბავშვმა.

სულ 2017 წელს ჯანდაცვის პროგრამებით თითქმის 1000-მა მოქალაქემ ისარგებლა, მათ შორის 70-მა ონკოლოგიური დაავადების მქონემ მიიღო ამ დაავადების სამკურნალოდ გათვალისწინებული სრული პაკეტით მომსახურება (თერაპია, მედიკამენტი).

ჯანდაცვის კუთხით გაწეული მუშაობის შედეგია ყოველწლიურად ამ სფეროში მომსახურების მიმღებ ბენეფიციართა ზრდა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2017 წელს, მუნიციპალიტეტების გაერთიანების შედეგად, სოფლად და ქალაქად მცხოვრებ მოსახლეობას მიეცა შესაძლებლობა, ესარგებლა ერთნაირი პროგრამებითა და თანაბარი პირობებით.

2018 წელს დაგეგმილია მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომელთაგან საანგარიშო წლის 9 თვეში რვა საავტომობილო გზის (საბარგო სადგურის დასახლება, სოფლები: ჭვინთა-ელიაწმინდა, ფერსა, ზიკილია, ტატანისი-სვირი-ბოგა, მინამე, კლდე, სამელი) და სოფელ აწყურის სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალური მილსადენის (ე.წ. ხულევასხევი) რეაბილიტაციაზე უკვე გახარჯულია 7 243,1 ათასი ლარი, ასევე მიმდინარეობს ორი კულტურის სახლის (ვალე, აწყური) რეაბილიტაცია.

ქალაქ ახალციხის ცენტრალურ პარკში 01 ივნისს აღინიშნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, სადაც მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლის აღსაზრდელებმა ბავშვებისათვის ჩაატარეს სხვადასხვა კულტურული აქტივობები, ბავშვებისთვის მოეწყო თოჯინების თეატრის სპექტაკლის ჩვენება. 30 ივნისს აღინიშნა ახალციხელობა, ქალაქის დღესასწაულს მიემდგვნ კულტურული აქტივობები.

**ცხრილი 2.** ბიუჯეტის შესრულება 2017 და 2018 წლის 9 თვის მდგომარეობით

თანხა ათას ლარებში

დასახელება	2017 წელი				2018 წელი (9 თვის მდგომარეობით)			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%	წლიური გეგმა	9 თვის ფაქტი	+/-	%
<b>შემოსავლები</b>	<b>19333,4</b>	<b>19584,7</b>	<b>251,3</b>	<b>101,3</b>	21764,0	14014,0	7750,0	64,4
გადასახადები	7980,0	7852,7	127,3	98,4	6950,0	6220,6	729,4	89,5
გრანტები	10075,4	10 002,0	-73,4	99,3	13364,0	6530,3	9833,7	48,8
სხვა შემოსავლები	1308,0	1730,0	422,0	132,3	1449,0	1263,1	185,9	87,2

### თავი III

#### ახალციხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

##### მუხლი 1. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის ბიუჯეტის პროექტი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	0.0	0.0	0.0	21 763.0	7 533.0	14 230.0	15 790.0
გადასახადები	0.0	0.0	0.0	6 950.0	0.0	6 950.0	14 038.8



სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	3 889.0	772.2	3 116.8	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	3 889.0	772.2	3 116.8	0.0
ფასიანი ქალაქები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

**მუხლი 2. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის ბიუჯეტის პროექტი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები	0.0	0.0	0.0	21 833.0	7 533.0	14 300.0	15 900.0
შემოსავლები	0.0	0.0	0.0	21 763.0	7 533.0	14 230.0	15 790.0
არაფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	7.0	0.0	70.0	110.0
გადასახდელები	0.0	0.0	0.0	25 722.0	8 305.2	17 416.8	15 900.0
ხარჯები	0.0	0.0	0.0	11 245.7	0.0	11 245.7	11 479.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	14 476.3	8 305.2	6 171.1	4 420.6
ნაშთის ცვლილება	0.0	0.0	0.0	-3 889.0	-772.2	-3 116.8	0.0

### მუხლი 3. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 15 900,0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2017 წლის ფაქტი		2018 წლის გეგმა		2019 წლის ბიუჯეტის პროექტი
	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	სულ

		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები	0.0	0.0	0.0	21 833.0	7 533.0	14 300.0	15 900.0
შემოსავლები	0.0	0.0	0.0	21 763.0	7 533.0	14 230.0	15 790.0
არაფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	110.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

#### მუხლი 4. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 14 038.8 ათასი ლარის ოდენობით

	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი
დასახელება			
	სულ	სულ	სულ
<b>გადასახადები</b>	<b>0.0</b>	<b>6 950.0</b>	<b>14 038.8</b>
<b>დამატებული ღირებულების გადასახადი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>8 638.8</b>
<b>საშემოსავლო გადასახადი</b>	<b>0.0</b>	<b>1 350.0</b>	<b>0.0</b>
საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან	0.0	1 336.0	0.0
არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან)	0.0	1.0	0.0
საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტყიდან	0.0	1.0	0.0
საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან	0.0	1.0	0.0
საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან	0.0	1.0	0.0
საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან	0.0	10.0	0.0

ქონების გადასახადი	0.0	5 600.0	5 400.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	5 393.0	5 193.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	1.0	1.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0.0	1.0	1.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	0.0	0.0	0.0
<b>სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე</b>	<b>0.0</b>	<b>38.0</b>	<b>38.0</b>
ფიზიკურ პირებიდან	0.0	34.0	34.0
იურიდიულ პირებიდან	0.0	4.0	4.0
<b>არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე</b>	<b>0.0</b>	<b>168.0</b>	<b>168.0</b>
ფიზიკურ პირებიდან	0.0	8.0	8.0
იურიდიულ პირებიდან	0.0	160.0	160.0
<b>სხვა გადასახადები ქონებაზე</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>

### მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 270.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი
	სულ	სულ	სულ
გრანტები	0.0	13 364.0	270.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0.0	13 364.0	270.0

ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	0.0	5 831.0	270.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	5 561.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	0.0	270.0	270.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	7 533.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	0.0	7 533.0	0.0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	0.0	6 773.0	0.0
მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი	0.0	760.0	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0	0.0

## მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1 481.2 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის ბიუჯეტის პროექტი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ
სხვა შემოსავლები	0.0	0.0	0.0	1 449.0	0.0	1 449.0	1 481.2
შემოსავლები საკუთრებიდან	0.0	0.0	0.0	574.0	0.0	574.0	576.2
პროცენტები	0.0	0.0	0.0	334.0	0.0	334.0	325.0
დივიდენდები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
რენტა	0.0	0.0	0.0	240.0	0.0	240.0	251.2



მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	0.0	0.0	0.0	210.0	0.0	210.0	221.2
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0.0	0.0	0.0	30.0	0.0	30.0	30.0
სხვა არაკლასიფიცირებულ ი რენტა	0.0	0,0	0.0	0.0	0,0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	0.0	0.0	0.0	420.0	0.0	420.0	405.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	0.0	0.0	0.0	390.0	0.0	390.0	375.0
საერთო- სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სანებართვო მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0	20.0	0.0	20.0	25.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0	220.0	0.0	220.0	160.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	0.0	0.0	0.0	150.0	0.0	150.0	190.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	30.0	0.0	30.0	30.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0.0	0.0	0.0	30.0	0.0	30.0	30.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	0.0	0.0	0.0	450.0	0.0	450.0	450.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებულ ი შემოსავლები	0.0	0.0	0.0	5.0	0.0	5.0	50.0

## მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები **11 479,4** ათასი ლარის ოდენობით,  
თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის ბიუჯეტის პროექტი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
ხარჯები	0.0	0.0	0.0	11 245.7	0.0	11 245.7	11 479.4
შრომის ანაზღაურება	0.0	0.0	0.0	1 926.4	0.0	1 926.4	2 379.1
საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	3 342.7	0.0	3 342.7	3 308.1
პროცენტი	0.0	0.0	0.0	114.1	0.0	114.1	65.5
სუბსიდიები	0.0	0.0	0.0	4 087.5	0.0	4 087.5	4 405.9
გრანტები	0.0	0.0	0.0	110.0	0.0	110.0	155.0
სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	697.8	0.0	697.8	768.9
სხვა ხარჯები	0.0	0.0	0.0	967.2	0.0	967.2	397.0

### მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **4 310,6**

ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **4 420,6**

ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ. კ.	დასახელება	2017 წლის ფაქტი		2018 წლის გეგმა		2019 წლის ბიუჯეტის პროექტი
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	

			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებ ი	საკუთარ შემოსა ვლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებ ი	საკუთარი შემოსავლებ ი	სულ
01 00	წარმომადგენლობი თი და ადმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	0.0	0.0	0.0	87.8	0.0	87.8	175.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.0	0.0	0.0	13 627.7	8 114.6	5 513.1	3 035.6
04 00	განათლება	0.0	0.0	0.0	306.6	158.1	148.5	610.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	0.0	0.0	0.0	428.3	32.5	395.8	600.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	38.7	0.0	38.7	0.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>14 489.1</b>	<b>8 305.2</b>	<b>6 183.9</b>	<b>4 420.6</b>

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 110,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>0.0</b>	<b>70.0</b>	<b>110.0</b>
<b>ძირითადი აქტივები</b>	<b>0.0</b>	<b>10.0</b>	<b>10.0</b>
<b>არაწარმოებული აქტივები</b>	<b>0.0</b>	<b>60.0</b>	<b>100.0</b>
<b>მიწა</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>100.0</b>

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის ბიუჯეტის პროექტი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	0.0	0.0	0.0	3 257.2	0.0	3 257.2	3 852.2
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	0.0	0.0	0.0	3 252.2	0.0	3 257.2	3 852.2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	3 257.2	0.0	3 257.2	3 852.2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	54.5	0.0	54.5	100.0
702	თავდაცვა	0.0	0.0	0.0	84.3	0.0	84.3	100.3
704	ეკონომიკური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	12 915.0	6 764.8	6 150.2	3 162.6
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა,	0.0	0.0	0.0	233.0	0.0	233.0	240.0

	მეთევზეობა და მონადირეობა							
70421	სოფლის მეურნეობა	0.0	0.0	0.0	233.0	0.0	233.0	240.0
7045	ტრანსპორტი	0.0	0.0	0.0	10 462.0	6 676.2	3 785.8	923.8
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	0.0	0.0	0.0	10 462.0	6 676.2	3 785.8	923.8
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	0.0	0.0	0.0	2 220.0	88.6	2 131.4	1 998.8
705	გარემოს დაცვა	0.0	0.0	0.0	1 209.9	0.0	1 209.9	1 165.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0.0	0.0	0.0	1 209.9	0.0	1 209.9	1 165.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	0.0	0.0	0.0	2 414.8	1 349.8	1 065.0	1 020.0
7063	წყალმომარაგება	0.0	0.0	0.0	1 418.8	963.8	455.0	420.0
7064	გარე განათება	0.0	0.0	0.0	621.5	11.5	610.0	580.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	20.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	0.0	0.0	0.0	197.7	0.0	197.7	166.7
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	0.0	0.0	0.0	197.7	0.0	197.7	166.7
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	0.0	0.0	0.0	1 795.4	32.5	1 762.9	1 893.5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	0.0	0.0	0.0	1 229.9	0.0	1 229.9	1 293.5

7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0.0	0.0	0.0	533.0	0.0	533.0	600.0
709	განათლება	0.0	0.0	0.0	3 040.8	158.1	2 882.7	3 606.5
7091	სკოლამდელი აღზრდა	0.0	0.0	0.0	2 909.9	158.1	2 751.8	3 461.5
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0.0	0.0	0,0	130.9	0.0	130.9	145.0
710	სოციალური დაცვა	0.0	0.0	0,0	806.9	0.0	806.9	933.3
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	473.3	0.0	473.3	528.6
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	412.0	0.0	412.0	438.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	61.3	0.0	61.3	90.6
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	2.4	0.0	2.4	5.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	69.1	0.0	69.1	79.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	262.2	0.0	262.2	320.7
	სულ	0.0	0.0	0.0	25 722.0	8 305.2	17 416.8	14 900.0

მუხლი 10. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ახალციხის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

### **მუხლი 11. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

### **მუხლი 12. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 0 ლარის ოდენობით.

### **მუხლი 13. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების შესაბამისად.

### **მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 270.0 ათასი ლარი, მიიმართოს:
  - ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 166.7 ათასი ლარი;
  - ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 100.3 ათასი ლარი;
  - გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 3.0 ათასი ლარი;
2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

## **მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **თავი IV**

#### **ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

#### **მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

##### **პრიორიტეტი 1. ეფექტური მმართველობა.**

პრიორიტეტის ბიუჯეტი 2019 წლისთვის განისაზღვრა 3 852.2 ათასი ლარით.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ეფექტური მმართველობა ითვალისწინებს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების შეუფერხებელი და გამართული საქმიანობის უზრუნველყოფას.

##### **პროგრამა 1: მმართველობა-ადმინისტრირება ( საბიუჯეტო კოდი 01 00 )**

პროგრამის მიზანია თანამედროვე მართვის სტანდარტებსა და კანონმდებლობასთან თავსებადი მართვის მრავალფუნქციური, თანამედროვე სისტემის დანერგვა, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. მმართველი ორგანოების სერთიფიცირებული, მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

##### **საბოლოო შედეგი:**

ახალციხის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულია გამართული, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი ეფექტური მმართველობა;

##### **პროგრამა 1.1 ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო (საბიუჯეტო კოდი 01 01)**

**პროგრამის მიზანი:** საკრებულოს წევრების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებით მინიჭებული უფლება-მოსილებების კეთილსინდისიერად და მაღალკვალიფიციურად შესრულება.

##### **პროგრამა 1.2 ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია**

(საბიუჯეტო კოდი 01 02)

**პროგრამის მიზანი:** მერიის დაქვემდებარებაში არსებული ორგანოების სრულფასოვანი მუშაობა. სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. პროგრამაში გათვალისწინებული შიდა აუდიტორული სისტემის გამართული მუშაობა, საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები.



**პროგრამა 2.** ახალციხის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი (საბიუჯეტო კოდი 01 03)

**პროგრამის აღწერა:** ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში კატასტროფისა და სტიქიური მოვლენების შემთხვევაში, სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება. გასწიოს ხარჯები, როდესაც საფრთხე ემუქრება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ქონებას ან საქართველოს კანონით დაცულ სხვა სიკეთეს, აგრეთვე ადადგინოს დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურა.

**პროგრამის მიზანი:** ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში მცხოვრები მოსახლეობის ფინანსური მხარდაჭერა კანონის შესაბამისად.

**პრიორიტეტი 2.** ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავება და გარემოს დაცვა 5 347,6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

**პროგრამა 1.** საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა, დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

**პროგრამის აღწერა:** მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე არსებული გზების მოწესრიგება, ორმულეობის ამოწმება, გზის ახალი მონაკვეთების მოწყობა, სანიაღვრე არხების გაწმენდა და ახლის მოწყობა, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; თოვლცვენის დროს გზების გაწმენდისა და ტექნიკური მარტილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება, რაც უზრუნველყოფს ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებას; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სხვა ღონისძიებები.

**პროგრამის მიზანი:** 40.5 კმ რეაბილიტირებული სამანქანო გზა ორმულეობის გარეშე, პანდუსების და გადასასვლელეობის მოწყობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბავშვების და საბავშვო ეტლებით მოძრაობის უსაფრთხო გადაადგილება. რეაბილიტირებულ გზებზე გაუმართავი საავტომობილო გზის მიზეზით გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობის მაქსიმალურად შემცირება, 45 კმ გაწმენდილი სანიაღვრე არხი.

**მოსალოდნელი შედეგი:**

ბავშვების და საბავშვო ეტლებით მოძრაობის უსაფრთხო გადაადგილება, ქალაქში მაქსიმალურად დაცული სანიტარული წესები და შედეგად ეპიდემიური დაავადებების გავრცელების ლიკვიდაცია.

სუფთა ქუჩები და პარკები, რაც საშუალებას აძლევს მოსახლეობას, ბავშვებს, დედაებს და მომავალ დედაებს იცხოვრონ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში.

მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება ჯანმრთელი მომავალი თაობა.

**შედეგის შეფასების ინდიკატორები:**

ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა.

გაწმენდილი არხის სიგრძე.

აღდგენილი ტროტუარების სიგრძე.  
გატანილი ნარჩენების რაოდენობა.  
დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი.

**პროგრამა 2. კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება 2 425.0 ათასი ლარი (საბიუჯეტო კოდი 03 02)**

**პროგრამის აღწერა:** ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემავალი ქალაქებისა და სოფლების განათების ქსელის, სასმელი წყლისა და სარწყავი არხების მოწყობა რეაბილიტაცია.

**პროგრამის მიზანი:** ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა, რათა ამალღდეს ბავშვებისა და ქალების უსაფრთხო გადაადგილება, მოვლა შენახვა - ნათურების ჩანაცვლება ენერგო ეფექტური ნათურებით, სასმელი წყლის ახალი მაგისტრალების მოწყობა, რეზერვუარების და გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია, მოსახლეობისათვის სუფთა, ხარისხიანი წყლის მიწოდება, სასოფლო სამეურნეო სავარგულების მაქსიმალურად გასარწყავიანება.

**შედეგის შეფასების ინდიკატორები:**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განათებული ქუჩების სიგრძე.  
სასმელი წყლით უზრუნველყოფილი დასახლებული პუნქტების რაოდენობა,  
რეაბილიტირებული სარწყავი არხების სიგრძე.  
სასმელი წყლის ხარისხი.  
გასარწყავიანებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი.

**პროგრამა 3. კეთილმოწყობის ღონისძიებები 1 998.8 ათასი ლარი (საბიუჯეტო კოდი 03 03)**

**პროგრამის აღწერა:** ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემავალ ქალაქებსა და სოფლებში განსახორციელებელი პროექტებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შექმნა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების, სადარბაზოების და ლიფტების რესტავრაცია, პარკებისა და სკვერების მშენებლობა - რეაბილიტაცია, სპორტული მოედნებისა და დარბაზების მოწყობა - რეაბილიტაცია, სახლების და სახურავების მოწყობა-რეაბილიტაცია, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიების ინფრასტრუქტურის მოწყობა, .

**პროგრამის მიზანი:** პარკებისა და სკვერების მოწყობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით, არსებული სკვერების რეაბილიტაცია, ძველი სპორტული მოედნების შეკეთება, გოგონებისა და ბიჭებისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი სპორტული დარბაზის გახსნა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის მიზნით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები მოსახლეობისათვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნა, სასაფლაოების ადგილმდებარეობის დაკვალვა, ფართის თანაბარ ნაწილებად განაწილება, ტერიტორიების შემოღობვა და სველი წერტილების მოწყობა.

**შედეგის შეფასების ინდიკატორები:**

რეაბილიტირებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რაოდენობა,  
განახლებული პარკების და სკვერების ფართობი,  
ახალგახსნილი სპორტული დარბაზების რაოდენობა,  
